



თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0328/433/18

Дата: 28/03/2018



სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბ-ნ ირაკლი ჩიდრაშვილს
მის. თ. ჭოველიძის ქ. 10ა

თქვენი 27.03.2018 წლის #0327/268/18 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთს (ს.კ.81.21.06.622) კვეთს სს „თელასის“ კუთვნილი 6-10კვ-ის საკაბელო ელ. გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილების „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტრო-გადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს „თელასი“ არ არის მშენებლობის წარმოების წინააღმდეგი, თუ დაცული იქნება ზემოაღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი

ს. კობცევი

შემსრ. შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთ. განყ.
უფროსის მ. შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7814)

